



გურჯაანის მუნიციპალიტეტში ღვინის კომპანია შპს „კარდანახი 1888“-ის
წყალმომარაგება

გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და გარემოსდაცვითი
მართვის გეგმა

დაფინანსებულია მსოფლიო ბანკის მიერ

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი (SRMIDP)

საჯარო და კერძო ინვესტიციები

დეკემბერი 2018

ქვე პროექტის აღწერა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სოფელ კარდანახში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, საქართველოში. პროექტი ითვალისწინებს ღვინის სახლი - შპს „კარდანახი 1888“-ისთვის წყალმომარაგების სისტემის მოწყობას. ქვე პროექტის დიზაინი მოიცავდა წინასწარ ჰიდროლოგიურ კვლევას. კვლევის თანახმად, მოსალოდნელი დებეტი იქნება 0.2 - 0.4 ლ / წმ, 0.72 - 1.4 მ³ / სთ. დებეტის ზუსტი რაოდენობის და სეზონურობის დასადგენად სატესტო ტუმბვა განხორციელდება შერჩეული კონტრაქტორის მიერ. ქვე პროექტი ითვალისწინებს 250მ სიგრძის ჭაბურღილის გათხრას და 360 მეტრის სიგრძის წყალსადენი მილის მშენებლობას ღვინის სახლთან დასაკავშირებლად. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდით 5.26.52.005), სადაც მოეწყობა ჭაბურღილი, რეგისტრირებულია, როგორც გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკუთრება. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან თან ერთვის დოკუმენტს (დანართი 3). ჭა შემოღობილი იქნება. საბურღი და დამაკავშირებელი სამუშაოებს გავლენა არ ექნება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთს. წყალმომარაგების მილსადენი დამონტაჟდება დაურეგისტრირებელი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის გავლით არსებული გზის გასწვრივ. არ არსებობს რაიმე ოფიციალური ან არაოფიციალური სახის მფლობელობა ზემოქმედებულ მიწაზე, რომელზეც მოეწყობა მილსადენი ხაზი. დამონტაჟების შემდეგ, ინფრასტრუქტურა რეგისტრირებული იქნება, როგორც შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" (UWSCG) საკუთრება, ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი შემდგომ მოვლა-პატრონობაზე.

(ა) ზემოქმედების იდენტიფიცირება

<p>ექნება თუ არა ქვე პროექტს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე?</p>	<p>ქვე პროექტს არ ექნება რაიმე მნიშვნელოვანი ან შეუქცევადი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე.</p>
<p>რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე პროექტს გარემოზე?</p>	<p>პროექტს მოსალოდნელია, რომ ექნება გრძელვადიანი ნეიტრალური ზემოქმედება გარემოზე, ხოლო მისი მოკლევადიანი ზემოქმედება შეფასებულია როგორც მინიმალურ და ტიპიურ ზეგავლენად მცირე და საშუალო ზომის ურბანული ლანდშაფტში სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის: ხმაური, ვიბრაციები, მტვერი და ემისიები, რომლებიც მშენებლობის ტრანსპორტიდან გაიფრქვევა; სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა; საგზაო მოძრაობისა და ფეხით მოსიარულეთა გადაადგილების შეფერხება.</p>
<p>შეიძლება თუ არა, რომ ქვე პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედებას ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?</p>	<p>ახალი მიწის გამოყენება და განსახლება არ არის მოსალოდნელი.</p>

	<p>გრძელვადიანი სოციალური ზემოქმედება იქნება სასარგებლო, რადგან ღვინის სახლს ექნება უწყვეტი წყალმომარაგება, რაც უზრუნველყოფს სტუმრების ნაკადის ზრდას.</p> <p>ქვე პროექტის განხორციელებამ შესაძლოა გაზარდოს დროებითი დასაქმების შესაძლებლობა ადგილობრივი მაცხოვრებლების, რადგან, როგორც წესი, კონტრაქტორებისთვის უფრო ხელსაყრელია ადგილობრივი მაცხოვრებლების დაქირავება. ამას გარდა, ღვინის სახლის წარმატებული მუშაობა, შესაძლოა სარგებლის მომტანი იყო ადგილობრივებისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკური გადმოსახედიდან, რადგან გაიზრდება შემოსავალი და დასაქმების შესაძლებლობა.</p> <p>ამას გარდა, დღესდღეობით ღვინის სახლი შპს „კარდანახი 1888“ წყალს სოფლის წყალსაცავიდან იყენებს. ამ ბიზნესისთვის ახალი ჭაბურღილის დამონტაჟების შემდეგ, ადგილობრივ მაცხოვრებლებისთვის ხელმისაწვდომი წყლის რაოდენობა გაიზრდება.</p> <p>ნეგატიური ზემოქმედება იქნება შეზღუდული და მოკლევადიანი მშენებლობის ადგილზე. ამ შესაძლო დისკომფორტზე საუბარია ზევით.</p>
<p>რა ზემოქმედება აქვს ქვე პროექტს ადამიანის ჯანმრთელობაზე?</p>	<p>იმისათვის, რომ მოხდეს მისაწოდებელი წყლის ხარისხის განსაზღვრა, კონტრაქტორის მიერ უზრუნველყოფილი იქნება წყლის ტესტური ტუმბვა და ლაბორატორიული ტესტირება. იმ შემთხვევაში, თუ მიღებული წყალი არ არის სასმელად ვარგისი, კონტრაქტორის მიერ მოხდება ახალი ადგილის შერჩევა ჭაბურღილის გასათხრელად.</p> <p>წყალმომარაგების ქსელის მოწყობა სარგებელს მოუტანს ადგილობრივ მოსახლეობასაც, გამომდინარე იქიდან, რომ ადგილობრივ მაცხოვრებლებისთვის</p>

	<p>ხელმისაწვდომი წყლის რაოდენობა გაიზრდება.</p> <p>მცირე უარყოფითი ზემოქმედება დაკავშირებულია მტვრის, ემისიების, ხმაურისა და ვიბრაციის არსებობასთან მშენებლობის პერიოდში, მაგრამ მოკლევადიანი და შეზღუდულია სამშენებლო ობიექტისთვის.</p>
--	--

(ბ) შემამსუბუქებელი ზომები

<p>ქვე პროექტის პროექტირების რა ალტერნატივები იქნა განხილული და რა შემამსუბუქებელი ზომები იქნა შემოთავაზებული?</p>	<p>ქვე პროექტი ითვალისწინებს ღვინის სახლისთვის წყალმომარაგების მილსადენისა და ჭაბურღილის მოწყობას, ალტერნატივები არ ყოფილა განხილული.</p> <p>სამშენებლო ეტაპზე არსებული უარყოფითი ზემოქმედების შერბილება შესაძლებელია მარტივად - სამშენებლო ტერიტორიის დემარკაციის გზით, სატრანსპორტო მოძრაობის მართვით, ასევე სამშენებლო მექანიზმების სათანადო ტექ. უზრუნველყოფით, დამტკიცებული სამუშაო საათების დაცვით და წინასწარ შეთანხმებულ ადგილებზე სამშენებლო ნარჩენების გადატანის სათანადო ორგანიზებით.</p> <p>სამშენებლო კომპანიამ, უნდა უზრუნველყოს მუშების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა, პირადი დაცვის აღჭურვილობის უზრუნველყოფით. მუშების პირადი დაცვის აღჭურვილობა შესაბამისობაში უნდა იყოს საერთაშორისო პრაქტიკასთან (ყოველთვის საჭიროა დამცავი ჩაფხუტის ტარება, ასევე საჭიროების მიხედვით, ნიღბების და სპეციალური სათვალეების, ღვედების და სპეციალური ფეხსაცმელების გამოყენება). სამშენებლო ტერიტორიაზე, შესაბამისი ნიშნების განთავსებით, მუშები ინფორმირებულები იქნებიან ძირითადი წესების და რეგულაციების შესახებ, რომელთა დაცვაც აუცილებელია.</p>
--	--

	<p>კონტრაქტორი წინასწარ შეატყობინებს მეზობლად არსებული მიწის ნაკვეთების მფლობელებს სამუშაოების დაწყების შესახებ. მოსავლის ან სხვა აქტივების ნებისმიერი შემთხვევითი დაზიანება ანაზღაურდება კონტრაქტორის მიერ.</p> <p>ჭაბურღილს ექნება დახურული კამერა, რომელიც შემოსაზღვრული იქნება რათა თავიდან იქნეს აცილებული : ა)უცხო პირთა შესვლა; ბ)შინაური/გარეული ცხოველებისგან რაიმე სახის დაზიანებები და გ)წყლის ხარისხის შეცვლა/გაფუჭება.</p>
<p>წინა ანალოგიური პროექტის რომელი გამოცდილებები იქნა გათვალისწინებული პროექტის პროექტირებისას?</p>	<p>მგვ-ს აქვს ძალიან დიდი გამოცდილება სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული საშუალო და ფართომასშტაბიანი ქვე პროექტების განხორციელებაში. წინა მსგავსი პროექტების გამოცდილების გათვალისწინებით, არსებული პროექტი მოიცავს არა მხოლოდ ჭაბურღილის მოწყობას, არამედ ღვინის სახლისკენ მიმავალი წყალმომარაგების მილსადენების დამონტაჟებას.</p>
<p>იყვნენ თუ არა ჩართულები დაინტერესებული თემები ქვე პროექტის მომზადებაში და იქნა თუ არა ადეკვატურად გათვალისწინებული მათი ინტერესები და ცოდნა?</p>	<p>ადგილობრივი მოსახლეობა მათ შორის მშენებლობის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებლები ინფორმირებულები არიან ქვე პროექტის განხორციელების შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან დანიშნული საკონტაქტო პირის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია და დეტალები წარმოდგენილი იქნება საპროექტო ტერიტორიაზე ქვე-პროექტის განხორციელების განმავლობაში და ნების იერ პირს ექნება შესაძლებლობა კითხვით/საჩივრით მიმართოს აღნიშულ პირებს. ამგვარად, დაინტერესებული პირების მხრიდან მომავალი უკუკავშირი, კითხვები და საჩივრები იქნება ჩანიშნული და შესაბამისად გადაჭრილი.</p>

(დ) კატეგორიზაცია და დასკვნა

სკრინინგის შედეგებზე დაყრდნობით,

ქვე პროექტი კლასიფიცირებულია,

A

როგორც გარემოსდაცვითი კატეგორია

B

C

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

1. ქვე პროექტი უარყოფილია

2. ქვე პროექტი მიღებულია

მიღების შემთხვევაში და რისკების შეფასების საფუძველზე, ქვე პროექტის მომზადება საჭიროებს:

1. გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის შევსებას მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის

2. გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვას, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის შემუშავების ჩათვლით

უფლებამოსილი ქვე პროექტების რისკების შეფასება

ბუნებრივი და სოციალური გარემოს სენსიტიური მიმდებნი ქვე პროექტის ობიექტის ირგვლივ	არის/ არ არის?	მნიშვნელოვანი პოტენციური ზემოქმედება / მაღალი რისკი (აღნიშნეთ)	უმნიშვნელო პოტენციური ზემოქმედება / დაბალი რისკი (აღნიშნეთ)
ბუნებრივი ადგილსამყოფელი მოწყვლადი ეკოსისტემები	არის	ტყეები; დაჭაობებული არეალები; ფრინველებს ბუდობისა და გადამფრენი ფრინველების დასვენების ადგილები, ცოცხალი ბუნების კორიდორები, რომლებიც დაცულ ტერიტორიებს აერთებს, ციცაბო ფერდობები, ალპური და სუბალპური ზონები, მწვანე მინდვრები	ძლიერ ტრანსფორმირებული ურბანული ან სასოფლო ლანდშაფტები, სამრეწველო ობიექტები, ყავისფერი მინდვრები
ზედაპირული წყლის ობიექტები	არ არის	ძირითადი მდინარეები და მდინარის ჭალის ტყეები, ტრანსსასაზღვრო წყლის ობიექტები და მათი შენაკადები, ტბები; მცირე წყლის ობიექტები, რომლებსაც აქვთ მაღალი ღირებულება ადგილობრივი თემების ან ბიომრავალფეროვნებისათვის	მცირე მდინარეები და ნაკადები, ხელოვნური რეზერვუარები და აუზები, რომლებიც არ აღინიშნება ადგილობრივ თემებზე ან ბიომრავალფეროვნების მაღალი ღირებულებით
		ა/გ	ა/გ
მიწისქვეშა წყლები	არ არის	რეგიონალური / ეროვნული მნიშვნელობის, მინერალური და / ან თერმული წყლის წყაროების დეპოზიტები, მაღალი მიწისქვეშა წყლები	რეგულარული მიწისქვეშა წყლების ზედა ფენა
		ა/გ	ა/გ

ღირებული ლანდშაფტები	არ არის	დაცული ლანდშაფტები, გამორჩეული ესთეტიური ღირებულების ლანდშაფტები, მწვანე მინდვრები, რეკრეაციული ზონები	ძლიერ ტრანსფორმირებული ურბანული ან სასოფლო ლანდშაფტები, სამრეწველო ობიექტები, ყავისფერი მინდვრები
		ა/გ	ა/გ
ფიზიკური კულტურული რესურსები	არ არის	კულტურის ძეგლების ინდივიდუალური ან საერთო დაცვის ზონები, ისტორიული ან ტრადიციული ობიექტები (რელიგიური, დაკრძალვის, რიტუალური)	კულტურული რესურსების არ არსებობა
		ა/გ	ა/გ
დასახლებული პუნქტები	არ არის	20-ზე მეტი ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლე, საჭიროა ფიზიკური ადგილმონაცვლეობა	20-ზე ნაკლები ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლე, ფიზიკური ადგილმონაცვლეობა და ახალი მიწის ამოღება საჭირო არ არის
		ა/გ	ა/გ
გეოლოგიური საფრთხეები: ძლიერი ეროზია, მეწყერი, დატბორვა	არ არის	აღრიცხულია	არ არის აღრიცხული
		ა/გ	ა/გ
<p>თუკი შეფასების ზემოთმოყვანილი ნებისმიერი კრიტერიუმის საფუძველზე მოსალოდნელია, რომ ქვეპროექტი იყოს მაღალი რისკის მატარებელი, ის მაღალი რისკის ქვეპროექტად განიხილება. უნდა ჩატარდეს გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვა და მომზადდეს გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა.</p> <p>თუკი შეფასების ზემოთმოყვანილი ნებისმიერი კრიტერიუმის საფუძველზე ქვეპროექტი სავარაუდოდ არ არის მაღალი რისკის მატარებელი, ის დაბალი რისკის ქვეპროექტად განიხილება და უნდა შეივსოს მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სია.</p>			

ქვეპროექტის სოციალური რესურსების სკრინინგი

	ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების ზომების სკრინინგის შესახებ	დიახ	არა
1	ინფორმაცია ქვეპროექტის ობიექტების მფლობელობის და კუთვნილების სტატუსის შესახებ არის ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი ვერ დასრულდება ზემოთხსენებულის მოპოვებამდე)	✓	
2	შეზღუდავს თუ არა პროექტი ხალხისთვის მათი ეკონომიკური რესურსების ხელმისაწვდომობას, როგორცაა მიწა, საძოვრები, წყლის რესურსები, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რომელზეც ისინი დამოკიდებულნი არიან?		✓
3	პროექტის შედეგად მოსალოდნელია თუ არა ინდივიდების ან ოჯახების განსახლება, ან არსებობს თუ არა მიწის შესყიდვის საჭიროება (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) მშენებლობისათვის?		✓
4	მოჰყვება თუ არა პროექტს შედეგად მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (როგორცაა ბელლები ეზოს ტუალეტები და სამზარეულოები) დროებითი ან მუდმივი დაკარგვა?		✓
<p>თუკი ზემოთხსენებულ რომელიმე კითხვაზე (გარდა შეკითხვისა 1) პასუხი არის „დიახ“, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.12 იძულებითი განსახლება და შემამსუბუქებელი ზომები უნდა განხორციელდეს ამ OP/BP 4.12 და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად</p>			
	ინფორმაცია კულტურული რესურსების უსაფრთხოების ზომების სკრინინგის შესახებ	დიახ	არა
5	საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?		✓
<p>თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის „დიახ“, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები და შემთხვევით მოპოვებული მასალების მართვა უნდა განხორციელდეს OP/BP-სა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩარჩო დოკუმენტში წარმოდგენილი შესაბამისი პროცედურების შესაბამისად .</p>			

ნაწილი ბ: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული				
	ქვეყანა	საქართველო		
	ქვეპროექტის დასახელება	გურჯაანის მუნიციპალიტეტში ღვინის კომპანია შპს „კარდანახი 1888“-თვის წყლის მიწოდება		
	ქვეპროექტის მიზნები და საქმიანობა	<p>საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სოფელ კარდანახში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, საქართველოში. პროექტი ითვალისწინებს ღვინის სახლი - შპს „კარდანახი 1888“-ისთვის წყალმომარაგების სისტემის მოწყობას. ქვე პროექტის დიზაინი მოიცავდა წინასწარ ჰიდროლოგიურ კვლევას. კვლევის თანახმად, მოსალოდნელი დებეტი იქნება 0.2 - 0.4 ლ / წმ, 0.72 - 1.4 მ³ / სთ. დებეტის ზუსტი რაოდენობის და სეზონურობის დასადგენად სატესტო ტუმბვა განხორციელდება შერჩეული კონტრაქტორის მიერ. ქვე პროექტი ითვალისწინებს 250მ სიგრძის ჭაბურღილის გათხრას და 360 მეტრის სიგრძის წყალსადენი მილის მშენებლობას ღვინის სახლთან დასაკავშირებლად. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდით 5.26.52.005), სადაც მოეწყობა ჭაბურღილი, რეგისტრირებულია, როგორც გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკუთრება. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან თან ერთვის დოკუმენტს (დანართი 3). ჭა შემოღობილი იქნება. საბურღი და დამაკავშირებელი სამუშაოებს გავლენა არ ექნება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთს. წყალმომარაგების მილსადენი დამონტაჟდება დაურეგისტრირებელი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის გავლით არსებული გზის გასწვრივ. არ არსებობს რაიმე ოფიციალური ან არაოფიციალური სახის მფლობელობა ზემოქმედებულ მიწაზე, რომელზეც მოეწყობა მილსადენი ხაზი. დამონტაჟების შემდეგ, ინფრასტრუქტურა რეგისტრირებული იქნება, როგორც შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" (UWSCG) საკუთრება, ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი შემდგომ მოვლა-პატრონობაზე.</p>		
ინსტიტუციონალური ღონისძიებები (დასახელება და კონტაქტები)	მსოფლიო ბანკი (საპროექტო ჯგუფის უფროსი)	პროექტის მართვა საქართველოს მუნიციპალური	უსაფრთხოების ზედამხედველობა მგვ	ადგილობრივი მხარე და/ან მიმღები

	ჯოანა მაკლინ მეისიქი	განვითარების ფონდი	ქეთევან პაპაშვილი	გურჯაანის მუნიციპალიტეტი
განხორციელების ლონისძიებები (დასახელება და კონტაქტები)	უსაფრთხოების ზედამხედველობა მსოფლიო ბანკი დარეჯან კაპანაძე გარემოს დაცვა სოფია გეორგიევა სოციალური	ადგილობრივი მხარე ზედამხედველობა მშენებლობის ზედამხედველობი ს საკონსულტაციო კომპანია „ეპტისა“	ადგილობრივი შემმოწმებლები ზედამხედველობა -	კონტრაქტორი
საპროექტო ტერიტორიის აღწერა				
საპროექტო ტერიტორიის დასახელება	სოფელი კარდანახი			
ტერიტორიის ადგილმდებარეობის აღწერა	ქვე-პროექტის ტერიტორია მდებარეობს სოფელ კარდანახში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, კახეთის რეგიონი, აღმოსავლეთ საქართველო			
ვინ არის მიწის მფლობელი	არარეგისტრირებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა			
გეოგრაფიული, ფიზიკური, ბიოლოგიური, გეოლოგიური, ჰიდროგრაფიული და სოციო- ეკონომიკური კონტექსტის აღწერა	<p>გურჯაანი მდებარეობს ზღვის დონიდან 415 მ ზღვის დონიდან ალაზნის ხეობაში, საქართველოს დედაქალაქი თბილისის 110 კმ-ით აღმოსავლეთით. ეს არის მევენახეობისა და მეღვინეობის მნიშვნელოვანი რეგიონის ცენტრი. ქალაქის მნიშვნელოვანი ღირშესანიშნაობებია: ახტალა, გურჯაანის ისტორიული სპა, ასევე ცნობილი, როგორც ტალახის აბანოები და ადრეული შუასაუკუნეების გურჯაანის ყოვლადწმინდის ეკლესია, ორგუმბათოვანი დიზაინის ეკლესიის ერთადერთი მაგალითი საქართველოში. აქ ასევე არის რამდენიმე მუზეუმი, რომელთაგან ყველაზე დიდია გურჯაანის ადგილობრივი ცოდნისა და ისტორიის მუზეუმი.</p> <p>ქვე პროექტის ღონისძიებები დაგეგმილია მნიშვნელოვნად შეცვლილ და დეგრადირებულ ლანდშაფტზე, ნებისმიერი დაცული ტერიტორიისა და ღირებული ბუნებრივი ჰაბიტატებისგან მოშორებით.</p>			
სამშენებლო მასალების, განსაკუთრებით ინერტული მასალების, წყლის, ქვების მდებარეობა და მანძილი	<p>ადგილობრივი სამშენებლო მასალების ტრანსპორტირების საშუალო მანძილი შეადგენს დაახლოებით 15 კმ-ს.</p> <p>სამშენებლო ტერიტორიაზე წყლის მიწოდება განხორციელდება წყლის რეზერვუარებიდან, ხოლო სასმელი წყლის უზრუნველყოფა მოხდება პლასტიკური ბოთლებით.</p>			

	<p>ზოგი ამოთხრილი მასალის უკუჩაყრა მოხდება, ზოგიერთი დამატებითი მასალის ტრანსპორტირება კი მოხდება ლიცენზირებული ობიექტებიდან - სავარაუდო მანძილი 5-10 კმ.</p> <p>სამშენებლო მასალების ნარჩენების გადაყრა მოხდება მცხეთის მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელზე - დისტანცია - 3კმ.</p>
--	---

კანონმდებლობა

<p>პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებული ეროვნული, ადგილობრივი კანონმდებლობისა და ნებართვების იდენტიფიცირება</p>	<p>მსოფლიო ბანკის პოლიტიკის და გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად, ქვე-პროექტი განისაზღვრა დაბალი რისკის მქონე „ბ“ კატეგორიად. ქვე-პროექტი დამტკიცებულია გურჯაანის მუნიციპალიტეტის მიერ.</p> <p>საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქმიანობა არ ექვემდებარება რაიმე სახის გარემოსდაცვით კვლევას, დამტკიცებას ან ნებართვის აღებას, აღნიშნულ ქვე-პროექტთან მიმართებაში. თუმცა, ეროვნული მარეგულირებელი სისტემის თანახმად:</p> <ul style="list-style-type: none"> (i) სამშენებლო მასალები მოწოდებული უნდა იქნას ლიცენზირებული მომწოდებლისგან; (ii) იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორი მოინდომებს კარიერების გახსნას, ან მასალების ამოღებას მდინარის კალაპოტიდან (აღნიშნული მასალების სხვა პროვაიდერებისგან შესყიდვის ნაცვლად), კონტრაქტორი ვალდებულია მიიღოს აღნიშნული მასალების მოპოვების ლიცენზია; (iii) იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი მოინდომებს საკუთარი ასფალტის, ან ბეტონის ქარხნის ამუშავებას (აღნიშნული მასალების სხვა პროვაიდერებისგან შესყიდვის ნაცვლად), კონტრაქტორი ვალდებულია მიიღოს გარემოსდაცვითი ნებართვა, რომელიც განსაზღვრავს ემისიებში დამაბინძურებელი კონცენტრაციების მაქსიმალურ მაჩვენებელს; (iv) სამშენებლო ნარჩენების გატანა ნაგავსაყრელზე, ან მიწის სამუშაოების დროს წარმოქმნილი ინერტული მასალების საბოლოო განთავსება სპეციალურად შერჩეულ ტერიტორიაზე, აუცილებელია შეთანხმდეს ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან წერილობითი ფორმით. <p>აუცილებელია სახელმწიფო სტანდარტების (GOST) და სამშენებლო ნორმების და წესების (SNIP) დაცვა.</p>
--	---

საჩივრების განხილვის მექანიზმი
<p>საჭიროებისამებრ, შეიქმნა საჩივრების განხილვის მექანიზმი პროექტით დაზარალებულთა საჩივრების მოსაგვარებლად. გურჯაანის მუნიციპალიტეტმა დანიშნა პასუხისმგებელი პირი - შორენა ბაზერაშვილი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი, რათა მიიღოს განიხილოს და რეაგირება მოახდინოს დაზარალებულთა საჩივრებზე. (ტელ:591 10 60 30). მუნიციპალური განვითარების ფონდის მხრიდან ნუცა გუმბერიძე წარმოადგენს საკონტაქტო პირს (ტელ: +995 598 88 20 19, feedback@mdf.org.ge, დავით აღმაშენებლის გამზირი 150, მე-3 სართული, 0112 თბილისი, საქართველო.)</p> <p>თუ საჩივარი ვერ გადაიჭრება ადგილობრივ დონეზე, ის გადაეცემა ფონდს განსახილველად. რაც შეეხება საჩივრების გადაჭრის მონიტორინგს, მუნიციპალური განვითარების ფონდი აღრიცხავს უკლებლივ ყველა მიღებულ საჩივარს/კომენტარს. საჯარო განხილვების დროს, ადგილობრივი მოსახლეობას ასვე მიეწოდება ინფორმაცია საკონტაქტო პირებისა და საჩივრების განმხილველი მექანიზმის არსებობის შესახებ.</p>
სოციალური და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის გამოქვეყნება
<p>არსებული სოციალური და გარემოსდაცვითი მართვის გეგმა გამოქვეყნდა მგფ-ის ვებ გვერდზე 2019 წლის 30 იანვარს.</p>
დანართები
დანართი 1. ჭაბურღილისთვის განკუთვნილი ტერიტორია
დანართი 2. ქვე პროექტის ტერიტორიის ტოპოგრაფია
დანართი 3. საკადასტრო ინფორმაცია

ნაწილი გ: უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი			
	საქმიანობა/საკითხი	სტატუსი	დაწყებული საქმიანობა
ითვალისწინებს თუ არა პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა წარმოდგენილ საკითხებს?	ა. რეაბილიტაცია	[] დიახ [] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი ა
	ბ. ახალი მშენებლობა	■ დიახ ■ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი ა
	გ. ინდივიდუალური წყალგამწმენდი სისტემა	[] დიახ ■ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი ბ
	დ. ისტორიული შენობა (შენობები) და უბნები	[] დიახ ■ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი გ
	ე. მიწის შექმნა ¹	[] დიახ ■ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი დ
	ვ. სახიფათო ან ტოქსიკური მასალები ²	[] დიახ ■ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი ე
	ზ. ზეგავლენა ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	[] დიახ ■ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი ვ
	თ. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/მართვა	[] დიახ ■ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი ზ
	1. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	■ დიახ [] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი თ

¹მიწის შექმნა ითვალისწინებს ადამიანების განსახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, მათ კერძო საკუთრებაზე მესვლით. აღნიშნული ეხება შესაძენ/გადასაცემ მიწას, რაც იწვევს თვითნებურად დასახლებულ და/ან იმ ადამიანების დაზარალებას, რომლებიც ცხოვრობენ და/ან მუშაობენ (ჯიხურები) შესაძენ მიწაზე.

²ტოქსიკური/სახიფათო ნარჩენები მოიცავს, მაგრამ არ არის შეზღუდული შემდეგით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, სახიფათო გამხსნელი, ტყვიის შემცველი საღებავის მოხსნა და სხვ.

ნაწილი დ: შემამსუბუქებელი ზომები

საქმიანობა	პარამეტრი	შემამსუბუქებელი ზომების ჩამონათვალი
ზოგადი პირობები	შეტყობინება და პერსონალის უსაფრთხოება	<ul style="list-style-type: none"> (ა) მშენებლობისა და გარემოსდაცვითი საკითხების ადგილობრივი მაკონტროლებელი ორგანოები და საზოგადოება ინფორმირებულები არიან მოსალოდნელი საქმიანობის შესახებ (ბ) საზოგადოებას აღნიშნული სამუშაოების შესახებ ეცნობა მედიაში და/ან საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ საიტებზე (მათ შორის სამუშაოებისთვის განსაზღვრული საიტის ჩათვლით) განთავსებული შესაბამისი შეტყობინებით (გ) მიღებულია მშენებლობის ან/და რეაბილიტაციისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ნებართვა (დ) კონტრაქტორი ოფიციალურად თანახმაა, რომ ყველა სახის სამუშაო განხორციელდეს უსაფრთხო და დისციპლინირებული სახით, რაც ემსახურება ზეგავლენის მინიმუმაციას მეზობელ მაცხოვრებლებსა და გარემოზე (ე) პერსონალის უსაფრთხოების აღჭურვილობა შეესაბამება კარგ საერთაშორისო პრაქტიკას (ყოველთვის დამცავი შლემები, საჭიროების შემთხვევაში ნიღბები და უსაფრთხო ბოტები) (ვ) საპროექტო ტერიტორიებზე განთავსებული შესაბამისი საინფორმაციო დაფები მიუთითებს მუშებს შესასრულებელი ძირითადი წესებისა და ინსტრუქციების შესახებ.
ზოგადი რეაბილიტაცია და/ან სამშენებლო აქტივობები	ჰაერის ხარისხი	<ul style="list-style-type: none"> (ა) შიდა ნგრევის პროცესში წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების დაყრა მოხდება პირველი სართულის ზემოთ (ბ) ნგრევის შედეგად წარმოქმნილი ნაგვის შენახვა მოხდება კონტროლირებად ტერიტორიაზე და მტვრის შემცირების მიზნით დაინამება წყლით; (გ) კედლის პნევმატური ბურღვის/ნგრევის პროცესში მტვრის შეკავება მოხდება წყლის ნაკადით და/ან მტვრის დამცავი ბარიერების მოწყობით შესაბამის ტერიტორიაზე; (დ) აუცილებელია ობიექტის ირგვლივ ტერიტორია (ტროტუარები, გზები) დასუფთავდეს ნაგვისგან მტვრის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით; (ე) არ მოხდეს სამშენებლო/ნარჩენი ნაგვის ღია წვა ობიექტის ტერიტორიაზე; (ვ) არ ექნება ადგილი სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების ზედმეტ მიმოსვლას საპროექტო ტერიტორიებზე.
	ხმაური	<ul style="list-style-type: none"> (ა) სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ხმაური შეიზღუდება ნებართვით განსაზღვრული დროის შესაბამისად; (ბ) საქმიანობის დროს, აუცილებელია გენერატორების, საჭაერო კომპრესორების და სხვა მექანიკური აღჭურვილობის სახურავების დახურვა და მათი განთავსება დასახლებული პუნქტებისგან რაც შეიძლება შორს.

	<p>წყლის ხარისხი</p>	<p>(ა) სამშენებლო ტერიტორიაზე აუცილებელია გატარდეს ეროზიისა და ნალექების კონტროლის შესაბამისი ღონისძიებები, როგორცაა მაგალითად თივის შეკვრა და/ან ქვიშის შემაკავებლები ღობეების მოწყობა, რაც უზრუნველყოფს საპროექტო ტერიტორიიდან ნალექების ჩარეცხვისა და მეზობლად მდებარე ნაკადულებსა და მდინარეებში ზედმეტი სიმღვრივის თავიდან აცილებას.</p>
	<p>ნარჩენების მართვა</p>	<p>(ა) ნარჩენების შეგროვებისა და გადაყრის გზები და ტერიტორიები განისაზღვრება ნგრევისა და სამშენებლო სამუშაოებისას წარმოქმნილი ყველა ძირითადი ტიპის ნარჩენებისთვის</p> <p>(ბ) მშენებლობით და ნგრევით გამოწვეული მინერალური ნარჩენები განთავსდება საერთო ნარჩენებისგან, ორგანული, თხევადი და ქიმიური ნარჩენებისგან განცალკევებით, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელებული დახარისხების გზით და შესაბამის კონტეინერებში განთავსებით.</p> <p>(გ) სამშენებლო ნარჩენების სატანადო შეგროვება და გადაყრა განხორციელდება შესაბამისი ლიცენზიის მქონე ორგანიზაციის მიერ;</p> <p>(დ) წარმოება ნაგვის გადაყრასთან დაკავშირებით საჭიროა ჩანაწერების, მათი სათანადო მართვის დასაბუთების მიზნით, როგორც ეს გეგმითაა გათვალისწინებული;</p> <p>(ე) შესაძლებლობის შემთხვევაში, კონტრაქტორს შეუძლია მოახდინოს სათანადო და მოქმედი მასალების ხელახალი გამოყენება და რეციკლირება (აზბესტის გარდა).</p>
<p>სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება</p>	<p>სამშენებლო საქმიანობით გამოწვეული პირდაპირი, ან არაპირდაპირი საფრთხე საზოგადოებრივ სატრანსპორტო მოძრაობაზე და ფეხით მოსიარულეებზე</p>	<p>ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, კონტრაქტორი ვალდებულია უზრუნველყოს სამშენებლო ტერიტორიის სათანადო დაცვა და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირება. აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ ზღუდავს შემდეგ საკითხებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ გამაფრთხილებელი საგზაო ნიშნები, ბარიერები და შესახვევები; აუცილებელია საპროექტო ტერიტორიის უზრუნველყოფა და საზოგადოების გაფრთხილება ყველა პოტენციური საფრთხის შესახებ; ▪ ტრანსპორტის მოძრაობის შესაბამისი მართვის სისტემა და პერსონალის ტრენინგი, განსაკუთრებით საპროექტო ტერიტორიის მისასვლელად ხელმისაწვდომობისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გადატვირთული სატრანსპორტო მოძრაობის თავიდან ასაცილებლად. სამშენებლო ტრანსპორტის მოძრაობის წერტილებში ფეხით მოსიარულეთათვის უსაფრთხო გადასასვლელების უზრუნველყოფა; ▪ სამუშაო საათების დაგეგმვა ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის მონაცემებზე დაყრდნობით, მაგ. ძირითადი ტრანსპორტის მოძრაობის თავიდან აცილება პიკის საათებისა და შინაური ცხოველების მოძრაობის დროს; ▪ საპროექტო ტერიტორიაზე ტრანსპორტის მოძრაობის აქტიური მართვა მცოდნე და ხილვადი პერსონალის მიერ, თუ ეს გამოწვეულია უსაფრთხოების საჭიროებით, მოსახერხებელი გასასვლელის შექმნა საზოგადოებისთვის;

		<ul style="list-style-type: none"> ▪ უსაფრთხო და უწყვეტი მიმოსვლის უზრუნველყოფა ოფისებთან, მაღაზიებთან და საცხოვრებლებთან აღდგენითი სამუშაოების პროცესში, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ნაგებობები ღიაა საზოგადოებისთვის.
სოციალური რისკის მართვა	საზოგადოებრივი ურთიერთობის მართვა	<ul style="list-style-type: none"> a) კონტრაქტორის გუნდში უნდა დაინიშნოს ადგილობრივი საკონტაქტო პერსონა ადგილობრივებისგან საჩივრებისა და კომენტარების მისაღებად; b) ჩატარდეს საკონსულტაციო შეხვედრები, რათა გამოვლინდეს და პროაქტიულად თავიდან ავიცილოთ პოტენციური კონფლიქტების სამუშაო ძალასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის; c) სამუშაო ძალისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით, უნდა მოხდეს ცნობიერების ამაღლება სექსუალურად გადამდები დაავადებების შესახებ; d) მოსახლეობის ინფორმირება სამშენებლო სამუშაოების განრიგის, სადემონტაჟო სამუშაოების, დროებით დაინიშნული ავტობუსებისა და შემოვლითი მარშრუტების შესახებ; e) ღამით სამუშაოების განხორციელება არ უნდა იყოს ნებადართული. გარდაუვალ შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ ღამით ჩასატარებელი სამუშაოები იყოს ფრთხილად დაგეგმილი და საზოგადოება სათანადოდ ინფორმირებული, რათა წინასწარ მიიღონ შესაბამისი ზომები; f) მომსახურების (მათ შორის წყლის, ელ-მომარაგების, ტელეფონის, ავტობუსის მარშრუტის) მიწოდების შეფერხების შემთხვევაში უნდა მოხდეს მოსახლეობის გაფრთხილება და 5 დღით ადრე და განთავსდეს განცხადება საპროექტო ტერიტორიაზე, ავტობუსის გაჩერებებსა და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული სახლებისა და ბიზნესების მიმდებარედ; g) დამსაქმებლის მიერ ჩამოყალიბებული საჩივრის განხილვის მექანიზმის მეშვეობით წამოჭრილი საჩივრების/უკმაყოფილების გადაჭრა დაწესებულ ვადებსა და კონტრაქტორის პასუხისმგებლობის ფარგლებში; h) რამდენადაც შესაძლებელია, სამშენებლო ბანაკი არ უნდა განთავსდეს ადგილობრივი მოსახლეობის სიახლოვეს; i) სამშენებლო ბანაკის განთავსება და ოპერირება უნდა მოხდეს მიმდებარედ დასახლებული მაცხოვრებლებთან კონსულტაციის შედეგად.
	სამუშაო ძალის მართვა	<ul style="list-style-type: none"> a) შესაძლებლობის ფარგლებში, სამუშაო ძალის დაკომპლექტება არაკვალიფიციური ან საშუალო-კვალიფიციური ადგილობრივი მუშა ხელის მიერ. სადაც და როდისაც მიზანშეწონილია, ადგილობრივებისთვის სამუშაო უნარების შექმნისთვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაქსიმალურად მოსახლეობის ჩართულობა; b) სამშენებლო ბანაკზე სამუშაო ძალის ადეკვატური საპირფარეშოებით, ცხელი და ცივი წყლით, საპნით და ხელის საშრობით უზრუნველყოფა; დროებითი სექტივის ავზის განთავსება, რათა არ მოხდეს მიმდებარედ წყლის დაბინძურება;

		<p>c) დასაქმებულების ცნობიერების ამაღლება ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობების მართვის შესახებ. საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ჩამოყალიბდეს ქცევის კოდექსი და მკაცრად მოეთხოვოთ დასაქმებულ მუშა ხელს კოდექსით გაწერილი მოთხოვნების შესრულება; დაუმორჩილებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამსახურიდან გათავისუფლება ან დაეკისროს ადეკვატური ოდენობის ფინანსური ჯარიმა.</p>
--	--	--

ნაწილი ე: გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა

საქმიანობა	რა? (პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?)	სად? (არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს?)	როგორ? (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	როდის? (განსაზღვრეთ სიხშირე/ან უწყვეტობა)	რატომ? (ხდება პარამეტრის მონიტორინგი?)	ვინ? (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
------------	---	--	--	--	---	---

სამშენებლო ფაზა

სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფა	სამშენებლო მასალების შექმნა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლისგან	მომწოდებლის ოფისში ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მომწოდებლის კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგარადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა ტრანსპორტირებისთვის განსაზღვრული საათებისა და მარშრუტების დაცვა	სამშენებლო ტერიტორია	შემოწმება	გაუფრთხილებელი შემოწმებები როგორც სამუშაო, ისე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებისაგან დაბინძურების შემცირება. ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი საზოგადოებების შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე დაყვანა;	მგფ მშენებლობის ზედამხედველი, სატრანსპორტო პოლიცია

<p>მიწის სამუშაოები</p>	<p>ამოღებული გრუნტის დროებითი შენახვა წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ტერიტორიებზე; ამოღებული გრუნტის უკუჩაყრა და/ან განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე; შემთხვევითი აღმოცენების შემთხვევაში, სამუშაოების დაუყოვნებლივ შეწყვეტა და აღნიშნულს შესახებ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება და სამუშაოების განახლება მხოლოდ სამინისტროსგან ოფიციალური თანხმობის მიღების შემდეგ</p>	<p>სამშენებლო ტერიტორია</p>	<p>შემოწმება</p>	<p>მიწის სამუშაოების პროცესში</p>	<p>სამშენებლო და მისი მიმდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნაგვით დაბინძურების თავიდან აცილება; ფიზიკური კულტურული რესურსების დაზიანების და დაკარგვის თავიდან აცილება</p>	<p>მგფ მშენებლობის ზედამხედველი</p>
-----------------------------	---	---------------------------------	------------------	---------------------------------------	--	--

საქმიანობა	რა? (პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?)	სად? (არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს?)	როგორ? (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	როდის? (განსაზღვრეთ სიხშირე/ან უწყვეტობა)	რატომ? (ხდება პარამეტრის მონიტორინგი?)	ვინ? (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
ინერტული მასალების წყარო	მასალების შექმნა არსებული მომწოდებლებისგან, თუ ეს შესაძლებელია; სასარგებლო წიაღისეული მოპოვების ლიცენზიის მიღება მშენებელი კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა; კარიერის ტერასებად დაყოფა კარიერის დამუშავებული ადგილების უკუჩაყრა და ლანდშაფტთან ჰარმონიზაცია; მდინარის კალაპოტიდან ხრემისა და ქვიშის ამოღება, ხრემის დამცავი ბარიერების მოწყობა მოპოვების ტერიტორიასა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მექანიზმების შესვლა წყლის ნაკადში.	კარიერების ზონები	დოკუმენტების შემოწმება სამუშაოების შემოწმება	მასალების დამუშავების პროცესში	დაქანების ეროზიის და ეკოსისტემების და ლანდშაფტების დეგრადაციის შემცირება; მდინარის ნაპირების ეროზიის, წყლის შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურების და წყლის ცხოველების საარსებო პირობების დარღვევის შემცირება	მგფ მშენებლობის ზედამხედველი

საქმიანობა	რა? (პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?)	სად? (არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს?)	როგორ? (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	როდის? (განსაზღვრეთ სიხშირე/ან უწყვეტობა)	რატომ? (ხდება პარამეტრის მონიტორინგი?)	ვინ? (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროულად გადაყრა ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში	სამშენებლო ტერიტორია; ნაგავსაყრელი ტერიტორია	შემოწმება	პერიოდულად სამშენებლო სამუშაოების პროცესში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ მშენებლობის ზედამხედველი
ტრანსპორტის მოდრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულე თა მიმოსვლის შეზღუდვა	სატრანსპორტო მოდრაობის შეზღუდვის/შესახვევ ის ნიშნების დადგმა; სამშენებლო მასალების შენახვა და სამშენებლო ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული საცობები მისასვლელ გზებზე;	სამშენებლო ტერიტორიაზე (და მის ირგვლივ)	შემოწმება	სამშენებლო სამუშაოების მსვლელობისას	საგზაო შემთხვევების შემცირება; ადგილობრივი მაცხოვრებლების დისკომფორტის შემცირება;	მგფ მშენებლობის ზედამხედველი
ახლად ჩაყრილი მიწებისა და წყალსაცავის ს გაწმენდა	სასმელ წყალში ნარჩენი ქლორის დასაშვები კონცენტრაციის დროს დეზინფექციის გამხსნელის გახსნა ან ქიმიური დეაქტივაცია (1,2 მგ/ლ) გაშვებამდე	მილსადენების საბოლოო წერტილი	გაწმენდითი სამუშაოების შემოწმება	მათი სამონტაჟო სამუშაოების დასრულებისას მილსადენის რეცხვის პროცესში	ნიადაგის, მიწისქვეშა წყლებისა და ზედაპირული წყლების დაბინძურების პრევენცია კონცენტრირებული ქლორით	მგფ მშენებლობის ზედამხედველი

საქმიანობა	რა? (პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?)	სად? (არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს?)	როგორ? (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	როდის? (განსაზღვრეთ სიხშირე/ან უწყვეტობა)	რატომ? (ხდება პარამეტრის მონიტორინგი?)	ვინ? (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
მუშების ჯანმრთელ ობა და უსაფრთხოე ბა	<p>მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა;</p> <p>მუშებისა და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურ ვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ, ასევე აღნიშნული წესების/ინსტრუქციებ ის მკაცრი დაცვის შესახებ.</p>	სამშენებლო ტერიტორია	შემოწმება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	სამუშაო ადგილას უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ მშენებლობის ზედამხედველი

ინფორმაციის გაზიარება და საჩივრების განხილვა	სამშენებლო სამუშაოების დაწყების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობა (განსაკუთრებით სამშენებლო ობიექტის მიმდებარე მიწის მფლობელები) ინფორმირებულია. გამოცხადებულია საჩივრის განხილვის საკონტაქტო ინფორმაცია. საჩივრების ჟურნალი შენარჩუნებულია	სამშენებლო ტერიტორია და / ან მიმდებარე დასახლება და შენობები სამშენებლო ტერიტორიის ახლომდებარე დასახლება და შენობები	პირადად, ფოსტით, ტელეფონით ან სხვა საშუალებით (ჩანაწერებით) საჩივრების განხილვის მექანიზმზე ინფორმაციის მონაცემების არსებობა ხელმისაწვდომ ადგილას; მონაცემები საჩივრების ჟურნალზე, დროული რეაგირება/გადაწყვეტილების მიღება, უკუკავშირი და უკმაყოფილებები	სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე (მინ. 2 კვირა) ქვეპროექტის ხანგრძლივობის განმავლობაში	ადგილობრივ მოსახლეობასთან დაკავშირებული შემფოთების შემცირება, კითხვებისა და უკუკავშირის შესაძლებლობა დარწმუნება, რომ კითხვების და საჩივრების დაკვალიანება დროულად ხდება	კონტრაქტორი (მონიტორინგი მგფ-ს მიერ) მგფ (ადგილობრივი ხელისუფლების, კონტრაქტორის დახმარებით)
შემთხვევითი დაზიანების აღდგენა და კომპენსაცია	მფლობელები, რომლებიც განიცდიან მოსავლის, ნაგებობების ან სხვა აქტივების დაკარგვას ან დაზიანებას, მშენებლობის შედეგად, სათანადო კომპენსაციას მიიღებენ ან მათი დაზიანებები აღდგენილი იქნება	სამშენებლო ტერიტორია	მგფ აღნიშნავს დაზიანებების არსებობასა და კომპენსაციების/აღდგენების შესახებ ინფორმაციას ზედამხედველების ანგარიშებისა და ტერიტორიაზე ვიზიტის მეშვეობით	ქვეპროექტის ხანგრძლივობის განმავლობაში	პროექტის ტერიტორიაზე მოსახლეობის აქტივები და საარსებო წყაროები გაუმჯობესდა ან მინიმალურ დონეზე აღდგენილია წინა პროექტის დონეზე.	კონტრაქტორი (მგფ-ს და ზედამხედველობის კონსულტანტის მონიტორინგი)
საოპერაციო ფაზა						
მოწყობილი წყალმომარაგების სისტემის მოვლა-პატრონობა	გამაერთიანებელი / შეტყობინების ნიშნების დაყენება; ჰაბურდილისა და წყალსაცავის გარშემო სპეციალური ღობეებისა და ნიშნების	ახლად მოწყობილი მიწების	ვიზუალური შემოწმება	სამუშაოების მსვლელობისას	ავარიებისა და წყალმომარაგების სისტემაში შეფერხების თავიდან აცილება	საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG)


	<p>დამონტაჟება სანიტარული ნორმებისა და წყლის ხარისხის დაცვის მიზნით;</p> <p>განსაზღვრულ ნაგავსაყრელზე სარემონტო სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების გატანა</p>					
--	---	--	--	--	--	--

დანართი 1

ჭაბურღილისთვის განკუთვნილი ტერიტორია



დანართი 2 : ქვეპროექტის ტერიტორიის ტოპოგრაფია



დანართი 3



საქართველოს რეესტრის კოდი N 51.26.52.005

ამონაწერი საჯარო რეგისტრაციიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892018760122 - 31/08/2018 11:04:02

მოწოდების თარიღი
06/09/2018 19:32:56

საკუთრების განყოფილება

ზინა გერეანია	სექტორი	კვარტილი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების კონსტრუქციის ნაკვეთის დანიშნულება: არასასაიდლო საშენობო დამზადებული ფართობი: 1190.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი:
51	26	52	005	

მისამართი: მუნიციპალიტეტი გურჯაანი , სოფელი კარდენახი

შესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892018760122 , თარიღი 31/08/2018 11:04:02
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 06/09/2018

უფლების დამატარებელი დოკუმენტი:
• პრისესია N1063 , დანიშნულების თარიღი 29/08/2018 , ავტომატურად თვის გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია

შესაკუთრება:
სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი 227765022

შესაკუთრე: იღწერა:
სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტი

ამოთქვა

საგადასახადო გარანტიისა:
რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ვალდებულება:
რეგისტრირებული არ არის

შეიღწევა რეგისტრაცია:
რეგისტრირებული არ არის

საკადასტრო გეგმა



საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტო

საკადასტრო კოდი: **51.26.52.005**

საკუთრის ფაქტობრივი:


აჩასოვლილი საშენი

გამკვეთის პირობები: **882018760122**


ფაქტობრივი:

1190 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)

მოწოდების თარიღი: **06/09/2018**



ორთო-ფოტო

51.26.52.005 

51.26.52.005 რეგისტრირებული ნაკვეთი



ბურჯანის მუნიციპალიტეტი
სოფლის მეურნეობის განყოფილება



Openstreetmap

საქართველოს სასაზღვრო
სამსახური

573467.76226, 4612872.66917 მთიანეთი მუნიციპალიტეტი

